

შპს „მინერალი“

სასარგებლო წიაღისეულის
(კირქვა და ბენტონიტური თიხა)
გადამამუშავებელი საწარმოს

ექსპლოატაციის პირობების ცვლილება (წარმოებული
პროდუქციის რაოდენობების კორექტირება)

(წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმბრა)

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი:

შპს „სამნი“
დირექტორი : თეიმურაზ კეკულაძე
მობ.: 5 91 15 72 72



შპს „მინერალი“-ს

დირექტორი ნიკოლოზ გურეშიძე
მობ.: 5 99 17 89 77

A handwritten signature in blue ink, likely belonging to Niko Gureshidi, the director of LLC 'Minerali'.

შინაარსი

1. შესავალი.....	4
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.....	5
3. ტექნოლოგიური პროცესი და ინფრასტრუქტურის ელემენტები.....	10
3.1. საწარმოს არსებული პარამეტრები.....	15
3.2. ობიექტის წყალმომარაგება-წყალარინება.....	15
4. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმოებული პროდუქციის რაოდენობების კორექტირება).....	16
4.1. მუშაობის რეჟიმი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ.....	17
5. გარემოზე ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით.....	17
5.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	17
5.2. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება.....	24
5.3. ზემოქმედება წყლის რესურსებზე.....	26
5.4. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე.....	26
5.5. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება;.....	26
5.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	27
5.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	29
5.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	29
5.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	30
5.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	30
5.11. ავარიული რისკები.....	31
5.12. კუმულაციური ზემოქმედება.....	31
5.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	32
6. საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი.....	32
და ნ ა რ თ ე ბ ი.....	33
დანართი 1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.....	34
დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება.....	52
დანართი 3. ანგარიშის ტექნიკური ამონაბეჭდი და მავნე ნივთიერებათა ემისიების გრაფიკული ასახვა.....	54

დანართი 4. პასუხები სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N 21/5748 29/09/2022 წერილით
გამოგზავნილ შენიშვნებზე. 72

1. შესავალი

შპს „მინერალი“-ს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 ივლისის N2-1070 ბრძანებით გადაეცა სს „საქგუმბრინი“-ზე სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა და ბენტონიტური თიხა) გადამუშავებაზე გაცემული 22.04.2021წ. N2-480 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N37 17.06.2010 წ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა).

ზემოაღნიშნული N37 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, საწარმოში გათვალისწინებულია 5 400ტ თიხისა და 5 400ტ კირქვის ფხვნილის დამზადება (ჯამურად 10 800ტ), რისთვისაც მოიხმარება 7 200 ტ. თიხა და 5 600 ტ. კირქვა (ჯამურად 12 800ტ).

შპს „მინერალს“ დაგეგმილი აქვს წარმოებული პროდუქციის კორექტირება ისე რომ არ შეიცვლება ჯამური წარმადობა. კერძოდ ნავარაუდევია 200 ტ. თიხისა და 10 600 ტ. კირქვის ფხვნილის წარმოება (ჯამურად 10 800ტ) რისთვისაც გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა იქნება 260ტ თიხა და 10 900ტ კირქვა, ჯამურად 11 160 ტონა, ნაცვლად 12 800ტ ნედლეულისა. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მეხუთე მუხლის მეთორმეტე ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული შეცვლა ან/და ექსპლოატაციის პირობის შეცვლა, მათ შორის წარმადობის გაზრდა, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. ამის გათვალისწინებით იგივე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

სააგენტოს 29/09/2022, N 21/5748 წერილით გამოგვეზავნა შენიშვნები, ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა სკრინინგის განაცხადის გადამუშავება.

ცხრილი 1.1.

ოპერატორი კომპანია	შპს „მინერალი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. წყალტუბო, ჭავჭავაძის 24
საქმიანობის განხორციელების მისამართი მისამართი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმბრა
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა და ბენტონიტური თიხა) გადამუშავება
დირექტორი	ნიკოლოზ გურეშიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 17 89 77
საკონსულტაციო კომპანია	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.

საწარმო მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმბრაში. განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია №2.1 ნახაზზე.



ნახაზი 2.1. სიტუაციური გეგმა

საწარმო ფუნქციონირებს გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან. განთავსებულია ს/ს საქემბრინიდან იჯარით აღებულ (დანართი 2) შემდეგ საწარმოო ფართებში (დანართი 1):

1. ადმინისტრაციული შენობა და მექანიკური საამქრო (29.09.38.305);
2. ნედლეულის ბაქანი (29.09.38.269);
3. ლენტური ტრანსპორტიორის გალერეა (29.09.38.306);
4. გამანაწილებელი უბანი და საშრობი დოლი(29.09.38.336);
5. წისქვილების უბანი (29.09.38.302);
6. ციკლონების უბანი (29.09.38.335);
7. ქვესადგური (29.09.38.334);
8. საწყობი (29.09.38.300);
9. საყოფაცხოვრებო (29.09.38.308);

საამქროების განთავსება ნაჩვენებია ნახაზზე 2.2.



ნახაზი 2.2. საწარმოო შენობები

საწარმოო ფართების წვეროთა კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.1

ცხრილი 2.1

ნაკვეთის კოდი	წერტილის N	GPS კოორდინატები	
		X	Y
29.09.38.305	1	304185	4686074
	2	304137	4686078
	3	304136	4686065
	4	304184	4686062

29.09.38.269	1	305241	4686111
	2	304166	4686118
	3	304162	4686094
	4	304239	4686088
29.09.38.306	1	304244	4686137
	2	304237	4686137
	3	304235	4686112
	4	304241	4686111
29.09.38.336	1	304250	4686150
	2	304220	4686153
	3	304219	4686139
	4	304249	4686136
29.09.38.302	1	304242	4686165
	2	304231	4686167
	3	304231	4686169
	4	304201	4686172
	5	304200	4686165
	6	304221	4686163
	7	304220	4686157
	8	304241	4686155
29.09.38.335	1	304258	4686185
	2	304238	4686187
	3	304237	4686183
	4	304220	4686185
	5	304220	4686189
	6	304201	4686191
	7	304199	4686175
	8	304256	4686169
29.09.38.334	1	304259	4686156
	2	304254	4686156
	3	304254	4686153
	4	304259	4686153
29.09.38.300	1	304268	4686122
	2	304253	4686123
	3	304252	4686112
	4	304267	4686111
29.09.38.308	1	304290	4686087
	2	304278	4686090
	3	304272	4686067
	4	304284	4686064

საწარმო მოწყობილია გასული საუკუნის 30-ან წლებში. გასული საუკუნის 90-იან წლებში საწარმომ შეწყვიტა ფუნქციონირება. მისი აღდგენა და ექსპლუატაცია განხორციელდა 2000-იან წლებში. საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად საწარმოდან უახლოესი მოსახლე 800 მეტრით იყო დაშორებული. ამჟამად 500 მ-იან ზონაში, ჩრდილო-აღმოსავლეთით ხვდება დასახლებული პუნქტი. უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 240 მ-ით.

საწარმოს განთავსების 500მ-ან ზონაში აღმოსავლეთით იწყება საცხოვრებელი ზონა, ხოლო ცენტრალურ ნაწილში - სამრეწველო ზონა (ნახაზი 2.3).



ნახაზი 2.3. 500მ-ანი ზონა

საწარმოდან 240 მ-ის დაშორებით განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (ნახაზი 2.4).



ნახაზი 2.4

განსახილველი საწარმოს (ნახაზზე მოცემულია ლურჯ ფერებში) გარშემო განთავსებული შენობანაგებობები მოცემულია ნახაზზე 2.5, ხოლო ჩამონათვალი ცხრილში 2.2.



ნახაზი 2.5

ცხრილი 2.2.

N	საკადასტრო კოდი	მესაკუთრე	ფუნქცია
1	29.09.38.253	სახელმწიფო	უფუნქციო
2	29.09.38.002	ჯორჯიან სინთეტიკ ოილ კომპანი	დროებით უფუნქციო
3	29.09.38.284	სახელმწიფო	ამორტიზებული
4-5	29.09.38.450	სახელმწიფო	უფუნქციო
6	29.09.38.268	გიგა გურუშიძე	არ ფუნქციონირებს
7	29.09.38.307	ს/ს „საქგუმბრინი“	ამორტიზებული
8	29.09.38.333	ს/ს „საქგუმბრინი“	ამორტიზებული

3. ტექნოლოგიური პროცესი და ინფრასტრუქტურის ელემენტები

არსებული ტექნოლოგია ითვალისწინებს კირქვისა და ბენტონიტური თიხის ნედლეულის დაფქვასა და მინერალური ფხვნილის დამზადებას. ორივე პროცესი იდენტურია. მიმდინარეობს ერთიდაიგივე ტექნოლოგიურ ხაზზე, მონაცვლეობით. ნედლეული შემოიტანება ავტოთვითმცლელებითა და განთავსდება გადახურულ ბაქანზე (ნახაზი 3.1) სურათი 3.1.

კირქვის გადამუსავების შემთხვევაში, დასაწყობებული ნედლეული გრეიფერის (2) მეშვეობით (ტვირთამწეობა 5 ტონა, სიგრძე 22მ) მიეწოდება CMD-109 მარკის პირველად სამსხვრევს (28). დამსხვრეული მასა ტრანსპორტიორით (29) მიეწოდება 5მ³ მოცულობის ხვიმირას (3), საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით (4) მიეწოდება მეორე CMD-106 ყბებიან სამსხვრეველას (5).




სურათი 3.1

დამსხვრეული მასა ტრანსპორტიორების (6;7) მეშვეობით მიეწოდება ხვიმირას (8) და შემდეგ მრგვალდაფიან მკვებავს (9)(სურათი 3.2).



სურათი 3.2.

ნახაზი 3.1.



კირქვის დამუშავების შემთხვევაში დამსხვრეული მასა მკვებავიდან ტრანსპორტიორით (17) მიეწოდება SMD-493 ტიპის სამ ქანქარებიან წისქვილს (18), საიდანაც პროდუქციის გამოტანა ხდება პნევმოტრანსპორტით. იგი ხორციელდება მაღალი წნევის БЦБ6-28 ტიპის სამი ვენტილიატორით (19). გაწოვილი მასა ხვდება სამ ცალ ტექნოლოგიურ ЦН 15,800 ციკლონში (20). სისტემა აღჭურვილია სამი ცალი ЦН-15,500 მარკის ასპირაციის (პირველი საფეხური) ციკლონით (21) და ერთი ЦН -15-800 ტიპის (მეორე საფეხური) ციკლონით. ამ უკანასკნელს ემსახურება БЦ 6-28 ტიპის ვენტილიატორი (23). ნაკადი ხვდება ასპირაციის უნივერსალურ ცვლადპროფილიან ციკლონში(24) (სურათი 3.3.).



სურათი 3.3.

ბენტონიტური თიხის დამუშავების შემთხვევაში მასა მიეწოდება ტრანსპორტიორს და გადადის 14 მ სიგრძისა და 2,8მ დიამეტრის საშრობ დოლში (10), რომელიც მუშაობს ბუნებრივ აირზე (სურათი 3.4.). 1ტ თიხის გასაშრობად ბუნებრივი აირის ხარჯი შეადგენს 50 მ³-ს. ჰაერის შებერვა ხდება ვენტილიატორით.



სურათი 3.4.

საშრობი დოლიდან გამოსული მშრალი მასა კონვეიერით (15; 16) მიეწოდება სამ ქანქარებიან წისქვილს (18). საშრობი დოლიდან გამოყოფილი მტვრის გაწოვა ხდება კვამლგამწოვი ვენტილიატორით (13). გაწოვილი აირის გაწმენდა ხდება ბატარეული ციკლონით ЦН 15-500*4 (12) და ЦНИОМ-800 ტიპის ციკლონით. შემდეგ ტექნოლოგიური პროცესი წარიმართება კირქვის ტექნოლოგიის ანალოგიურად.

პროდუქცია გროვდება მზა პროდუქციის ორ საწყობში (25 და 26) (სურათი 3.5.), საიდანაც ტრანსპორტიორის (27) მეშვეობით იტვირთება ავტომანქანებში.



სურათი 3.5.

3.1. საწარმოს არსებული პარამეტრები.

საწარმოს საწარმოო დოკუმენტებით საწარმოში გათვალისწინებულია 5 400ტ თიხისა და 5 400ტ კირქვის ფხვნილის დამზადება (ჯამურად 10 800ტ), რისთვისაც მოიხმარება 7 200ტ თიხა და 5 600ტ კირქვა (ჯამურად 12 800ტ). თიხის ფხვნილის გასაშრობად მოიხმარება 270 000 მ³ ბუნებრივი აირი.

საწარმოს მუშაობის რეჟიმი 150 დღე წელიწადში, 8 საათი დღეში, სულ 1 200 სთ/წელ.

საწარმოში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა შეადგენს 15 კაცს.

3.2. ობიექტის წყალმომარაგება-წყალარინება

საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის. ტექნოლოგიური პროცესებისათვის წყლის გამოყენება საჭირო არ არის. ობიექტის

წყალმომარაგება ხორციელდება მიწისქვესა ჰორიზონტის ორი ჰიდან რომლებზედაც აღებულია წიაღისარგებლობის ლიცენზიები (ლიცენზია N1004245 06.02.2017წ. 2920 მ³/წელ. ლიცენზია N1000939 20.12.2012 წ. 16 მ³/დღ.).

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყალი, რომლისთვისაც მოწყობილია საასენიზაციო ორმო.

ყველა ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, შესაბამისად სანიაღვრე წყლების შეკრების ორგანიზება საჭირო არ არის.

4. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმოებული პროდუქციის რაოდენობების კორექტირება)

ბაზარზე არსებულმა რეალობამ აჩვენა, რომ გაზრდილია მოთხოვნილება კირქვის ფხვნილზე და შემცირებულია თიხის ფხვნილზე. ამის გათვალისწინებით, ბაზრის კვლევის შედეგად მენეჯმენტი გეგმავს წარმოებული პროდუქციის რაოდენობის კორექტირებას, კერძოდ შემცირდება თიხის ფხვნილის წარმოება 200 ტონამდე წელიწადში და გაიზრდება კირქვის ფხვნილის წარმოება 10 600 ტონამდე წელიწადში. ისე რომ არ გაიზრდება ჯამური წარმადობა (10 800 ტონა/წელ). გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა იქნება 260ტ თიხა და 10 900ტ კირქვა (ჯამურად 11 160ტონა ნაცვლად 12 800 ტონისა) (ცხრილი 4.1.)

ცხრილი 4.1.

პროდუქციის სახეობა	არსებული		კორექტირების შემდეგ	
	პროდუქცია	ნედლეული	პროდუქცია	ნედლეული
თიხა	5 400ტ	7 200ტ	200	260
კირქვა	5 400ტ	5 600ტ	10 600	10 900

თიხის წარმადობის შემცირებასთან ერთად შემცირდება საშრობ დოლში გამოყენებული ბუნებრივი აირის რაოდენობა წელიწადში 270 000 მ³-დან 13 000მ³-მდე.

წარმადობის კორექტირება განხორციელდება არსებულ ტექნოლოგიური პროცესის და მოწყობილობების გამოყენების პირობებში. რაიმე ტექნიკური ცვლილების განხორციელება არ იგეგმება.

4.1. მუშაობის რეჟიმი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ

ექსპლუატაციის პირობების შეცვლით არ შეიცვლება სამუშაო გრაფიკი. საწარმოს მუშაობის რეჟიმი კვლავ იქნება 150 დღე წელიწადში, 8 საათი დღეში, სულ 1 200 სთ/წელ.

არსებული ექსპლუატაციის პირობებით 1200 საათიდან 600 საათი განკუთვლილია კირქვის ფხვნილის, ხოლო 600 საათი თიხის ფხვნილის მისაღებად.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შემდეგ მუშაობის რეჟი იქნება ისევ 150 დღე/წელ/ 8 სთ/დღ და 1200 სთ/წელ. ოღონდ ტექნოლოგიურ ხაზზე 1177,8 საათის განმავლობაში მოხდება კირქვის ფხვნილის გამოშვება, ხოლო 22,2 საათის განმავლობაში თიხის ფხვნილის (ჯამურად 1200 სთ).

როგორც მე-3 თავშია განხილული, კირქვის ფხვნილის მიღების დროს გამოიყენება სამსხვრევი ხოლო თიხის ფხვნილის მისაღებად საშრობი დოლი. პროდუქციის სახეობრივი კორექტირების პირობები დაკორექტირდება აღნიშნული მოწყობილობების მუშაობის რეჟიმები და იქნება შესაბამისი პროდუქციის მიღების დროის ანალოგიური (შემცირდება საშრობი დოლის მუშაობა 600 საათიდან 22,2 საათამდე, გაიზრდება სამსხვრევის მუშაობის საათები 600 და 1177,8 მდე).

გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა იქნება ჯამურად 10 800ტ, აქედან: 10600 ტ. კირქვის და 200 ტ. თიხის ფხვნილი.

5. გარემოზე ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლით არ იცვლება ტექნოლოგიური დანადგარების რაოდენობა და ტიპები. პროდუქციის სახეობების რაოდენობრივი კორექცია დაგეგმილია არსებული ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენებით. როგორც მე-4 თავშია აღნიშნული, მნიშვნელოვნად მცირდება ბუნებრივი აირის ხარჯი (257 000 კუბ.მ-ით.), საშრობი დოლის მუშაობის საათები, თუმცა გაიზრდება სამსხვრეების მუშაობის საათური მაჩვენებლები.

5.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გულისხმობს გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების რაოდენობის ცვლილებას. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით არ გაიზრდება გამოყოფილი და გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა, პირიქით მცირდება საშრობი დოლის მუშაობის საათები და გამოყენებული საწვავის რაოდენობა, რაც

თავისთავად გამოიწვევს ნახშირჟანგისა და აზოტის ჟანგეულების გამოყოფის შემცირებას, ასევე საშრობი დოლიდან არაორგანული მტვრის გამოყოფის შემცირებას.

არსებული და ექსპლუატაციის პირობების შეცვლით გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ინტენსივობა და რაოდენობა მოცემულია ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1.

მანვე ნივთიერებები	გ/წმ		ტ/წელ	
	არსებული პარამეტრებით	ცვლილებით მოსალოდნელი	არსებული პარამეტრებით	ცვლილებით მოსალოდნელი
მტვერი	1,87	1,137	5,22	4,0579
NO _x	0,450	0,2167	0,972	0,0468
CO	1,113	0,5356	2,403	0,1157

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს გარემოსდაცვითი დოკუმენტაციით უახლოესი მოსახლე დაშორებული იყო 500 მ-ზე მეტი მანძილით, ახალი რეალობით უახლოესი მოსახლე მდებარეობს 240 მ-ში, განხორციელდა მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროების იდენტიფიკაცია, გაფრქვეული ნივთიერებების რაოდენობრივი შეფასება და განზნევის მანქანური გაანგარიშება 240 მ.-ით დაშორებული საცხოვრებელი სახლის მიმართ.

გაფრქვევა ხდება შემდეგი ცხრა წყაროდან (ნახაზი 5.1.):

- ნედლეულის საწყობი (ჩამოტვირთვა-შენახვა)(გ-1 წყარო);
- მიწოდება სამტვრევეზე (გ-2 წყარო);
- გაფრქვევა სამსხვრევიდან (გ-3 წყარო);
- გაფრქვევა ლენტური ტრანსპორტიორიდან(გ-4 წყარო);
- გაფრქვევა საშრობი დოლიდან (გ-5 წყარო);
- გაფრქვევა საშრობი დოლიდან წისქვილზე ლენტური ტრანსპორტიორით გამომშრალი თიხის მიწოდებისას (გ-6 წარო);
- გაფრქვევა წისქვილებიდან (გ-7 წყარო);
- გაფრქვევა წისქვილებიდან სილოსებში გადატვირთვისას (გ-8 წყარო);
- გაფრქვევაპროდუქციის ჩატვირთვისას (გ-9 წყარო).

ტექნოლოგიური პროცესების დროს გამოიყოფა არაორგანული მტვერი, აზოტის ორჟანგი და ნახშირჟანგი.

ნახაზი 5.1.



- მტვრის რაოდენობის ანგარიში ნედლეულის (კირქვის და თიხის) განთავსებისას (გ-1 წყარო)

ნედლეულის დასაწყობება ხდება გადახურულ საწყობში.

კირქვის განთავსებისას გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იანგარიშება კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისას:

$$K_1=0.03; K_2=0,01; K_3=1,0; K_4=0,2; K_5=0,7; K_7=0,4; K_9=0,1; B=0,4; G=5,67\text{ტ/სთ}; K=0,4$$

აღნიშნულის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$M = 0.03 \times 0.01 \times 1.0 \times 0.2 \times 0.7 \times 0.4 \times 0.1 \times 0.4 \times 5.67 \times 0.4 \times 10^6 / 3\ 600 = 0.0004 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.0004 \times 1\ 200 \times 3\ 600 / 10^6 = 0.0017 \text{ ტ/წელ}$$

თიხის განთავსებისას გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იანგარიშება კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისას:

$$K_1=0.05; K_2=0,01; K_3=1,0; K_4=0,2; K_5=0,1; K_7=0,4; K_9=0,1; B=0,4; G=5,2\text{ტ/სთ}; K=0,4$$

აღნიშნულის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$M = 0.05 \times 0.01 \times 1.0 \times 0.2 \times 0.1 \times 0.4 \times 0.1 \times 0.4 \times 5.2 \times 0.4 \times 10^6 / 3\ 600 = 0.0001 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.0001 \times 50 \times 3\ 600 / 10^6 = 0.00002 \text{ ტ/წელ}$$

სულ, გ-1 წყაროდან გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იქნება:

$$M = 0.0004 + 0.0001 = 0.0005 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.0017 + 0.00002 = 0.00172 \text{ ტ/წელ}$$

- მტვრის რაოდენობის ანგარიში ნედლეულის (კირქვის და თიხის) სამსხვრევში მიწოდებისას (გ-2 წყარო)

გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იანგარიშება კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისას:

$$K_1=0.05; K_2=0,02; K_3=1,0; K_4=0,1; K_5=0,7; K_7=0,4; K_9=1,0; B=0,4; G=5,81\text{ტ/სთ}; K=0,4$$

აღნიშნულის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$M = 0.05 \times 0.02 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.4 \times 1.0 \times 0.4 \times 5.81 \times 0.4 \times 10^6 / 3\ 600 = 0.0072 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.0072 \times 1\ 200 \times 3\ 600 / 10^6 = 0.0311 \text{ ტ/წელ}$$

- მტვრის რაოდენობის ანგარიში ორჯერადი მსხვრევისას (გ-3 წყარო)

$$G = 11\ 160 \times 0.14 \times 0.4 / 10^3 = 0.625 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.625 \times 10^6 / 1\ 200 \times 3\ 600 = 0.0904 \text{ გ/წმ}$$

- მტვრის რაოდენობის ანგარიში ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-4 წყარო)

$$M = 3 \times 10^{-5} \times 0.1 \times 0.5 \times 30 \times 10^3 \times 0.4 = 0.018 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.018 \times 1\,200 \times 3\,600/10^6 = 0.1244 \text{ ტ/წელ}$$

- **გაფრქვევები საშრობი დოლიდან (გ-5 წყარო)**

1ტ თიხის გამოსაშრობად ბუნებრივი აირის ხარჯი 50მ³-ია. წლის განმავლობაში 260ტ თიხის გამოსაშრობად საჭირო იქნება: $260 \times 50 = 13\,000 \text{ მ}^3$.

1 000მ³ ბუნებრივი აირის წვისას გამოიყოფა 0,0036ტ აზოტის ორჟანგი; 0,0089ტ ნახშირჟანგი და 2,0ტ ნახშირორჟანგი. ზემოთქმულის გათვალისწინებით წლიური გაფრქვევები იქნება:

$$G_{NO_2} = 0.0036 \times 13\,000/10^3 = 0.0468 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{CO} = 0.0089 \times 13\,000/10^3 = 0.1157 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{CO_2} = 2.0 \times 13\,000/10^3 = 26.0 \text{ ტ/წელ}$$

შესაბამისად, წამური ინტენსიობები იქნება:

$$M_{NO_2} = 0.0468 \times 10^6/60 \times 3\,600 = 0.2167 \text{ გ/წმ}$$

$$M_{CO} = 0.1157 \times 10^6/60 \times 3\,600 = 0.5356 \text{ გ/წმ}$$

მყარი ნაწილაკების გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი შეადგენს 2,5კგ/ტ. შესაბამისად წლიური და წამური ინტენსიობები იქნება:

$$G = 2.5 \times 260/10^3 = 0.65 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.65 \times 10^6/60 \times 3\,600 = 3,0093 \text{ გ/წმ}$$

საშრობი დოლიდან გამომავალი აირი გაივლის ციკლონს, რომლის ეფექტურობა 85%-ა. შესაბამისად გაფრქვეული რაოდენობები იქნება:

$$G = 0.65 \times 0.15 = 0.0975 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 3,0093 \times 0.15 = 0.4514 \text{ გ/წმ}$$

- **მტვრის რაოდენობის ანგარიში საშრობი დოლიდან წისქვილზე ლენტური ტრანსპორტიორით გამომშრალი თიხის მიწოდებისას (გ-6 წარო)**

ანგარში ჩატარდა გ-4 წყაროს ანალოგიურად.

$$M = 3 \times 10^{-5} \times 0.1 \times 0.5 \times 20 \times 10^3 \times 0.4 = 0.012 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.012 \times 1\,200 \times 3\,600/10^6 = 0.0518 \text{ ტ/წელ}$$

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში წისქვილებიდან (გ-7 წყარო)**

დაფქვილი მასისა და ჰაერის ნარევის გადაადგილება ხდება მაღალი წნევის ვენტილატორების საშუალებით. შექმნილია ასპირაციული სისტემა.

წისქვილებიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაივლის წმენდის პირველ საფეხურს (ცნ-15; 800 ციკლონებს-სულ 6 ცალი) ხოლო შემდეგ აირმტვერნარევი გაივლის წმენდის II საფეხურს ეროდინამიურ ციკლონს, საიდანაც დაჭერილი პროდუქცია ხვდება ე.წ. შუა ბუნკერში. ხოლო გასუფთავებული ჰაერი ატმოსფეროში.

ასეთი მიმდევრობით ჩართული გამწმენდი მოწყობილობების ჯამური ეფექტურობა იქნება:

$$\eta_{\text{ჯამ}} = 100 \times [1 - (1 - \eta_1/100) \times (1 - \eta_2/100)]\% \\ = 100 \times [1 - (1 - 85/100) \times (1 - 95/100)]\% = 99.25\%$$

წისქვილში თიხისა და კირქვის დაფქვისას მტვრის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 7კგ/ტ-ზე, შესაბამისად სამივე წისქვილისათვის (ჯამური წარმადობა $3 \times 3\text{ტ/სთ} = 9\text{ ტ/სთ}$); მაშინ გაწმენდამდე წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იქნება:

$$9\text{ტ/სთ} \times 7\text{კგ/ტ} = 63\text{ კგ/სთ}; \text{ ანუ } 63 \times 10^3 / 3\ 600 = 17.5\text{ გ/წმ}$$

გაწმენდის სისტემის გათვალისწინებით გვექნება:

$$\text{I საფეხურის გავლის შემდეგ: } M_{\text{მტვ.}} = 17.5 \times 0.15 = 2.625\text{ გ/წმ}$$

$$\text{II საფეხურის გავლის შემდეგ: } M_{\text{მტვ.}} = 2.625 \times 0.05 = 0.1313\text{ გ/წმ}$$

შესამისად წისქვილის წლიური მწარმოებლურობის 10 900ტ/წელ და სამუშაო საათების 1920სთ/წელ გათვალისწინებით:

წლის განმავლობაში გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იქნება:

$$G_{\text{მტვ.}} = 0.1313 \times 1\ 200 \times 3\ 600 / 10^6 = 0.5672\text{ ტ/წელ}$$

- მტვრის გაფრქვევის ანგარიში წისქვილებიდან სილოსებში გადატვირთვისას (გ-8 წყარო)

წისქვილებიდან პნევმოტრანსპორტიორით პროდუქციის გადატვირთვისას სილოსებში ხვედრითი მტვერგამოყოფა შეადგენს 0,8კგ/ტ; რადგან სილოსებზე დაყენებულია ციკლონები, რომელთა დაჭერის ეფექტი 85%-ია, წისქვილის მწარმოებლურობის და ეფექტურობის გათვალისწინებით გაფრქვევის ინტენსივობა იქნება:

$$M = 0.8 \times 9.0 \times 10^3 / 3\ 600 = 2.0\text{ გ/წმ}$$

დაჭერის გათვალისწინებით:

$$M = 2.0 \times 0.15 = 0.3\text{ გ/წმ}$$

$$\text{ანუ } G = 0.3 \times 1\ 200 \times 3\ 600 / 10^6 = 1.296\text{ ტ/წელ}$$

- მტვრის გაფრქვევის ანგარიში სილოსებიდან პროდუქციის ჩატვირთვისას (გ-9 წყარო)

სილოსებიდან ავტოთვიომცლელელებში პროდუქციის ჩატვირთვისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა ყოველ გადატვირთულ 1 ტონა პროდუქციაზე შეადგენს - 0,08 კგ; წლის განმავლობაში გადატვირტული 10 900ტ- პროდუქციის გათვალისწინებით გვექნება:

$$G = 0.08 \times 10\ 900 / 10^3 = 0.872\text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.864 \times 10^6 / 1200 \times 3\ 600 = 0.1262\text{ გ/წმ}$$

განგარიშების შედეგები შეტანილი იქნა N5.2. ცხრილში და მის საფუძველზე განხორციელდა განზნევის გაანგარიშება კომპიუტერული პროგრამის (ეკოლოგის) მეშვეობით, რომელიც მოცემულია დანართი 3-ში.

ცხრილი 5.2.

მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები, მ		აირჰაეროვანი ნარევის პარამეტრები მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსვლის ადგილას			მაგნე ნივთიერების კოდი	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მაგნე ნივთიერებათა რაოდენობა			მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები საწარმოს კოორდინატთა სისტემაში, მ.					
	სიმაღლე, მ	დიამეტრი, მ	სიჩქარე, მ/წმ	მოცულობითი სიჩქარე მ ³ /წმ	ტემპერატურა, °C		გ/მ ³	მაქსიმალური, გ/წმ	ჯამური, ტ/წელი	წერტილოვანი წყაროსთვის		ხაზოვანი წყაროსთვის			
										X	Y	X ₁	Y ₁	X ₂	Y ₂
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
გ-1	3	არაორგანიზებული			2909	-	0,0005	0,00172	-	-	0	0	-51	0	
გ-2	15	არაორგანიზებული			2909	-	0,0072	0,0311	0	0	-	-	-	-	
გ-3	4	არაორგანიზებული			2909	-	0,0904	0,625	0	5	-	-	-	-	
გ-4	4	არაორგანიზებული			2909	-	0,018	0,1244	-	-	0	12	0	25	
გ-5	15	0,5	6,36	1,25	22	2909	-	0,4514	0,4514	-12	45	-	-	-	-
						0301	-	0,2167	0,0468						
						0.337	-	0,5356	0,1157						
						CO ₂	-	-	26						
გ-6	8	არაორგანიზებული			2909	-	0,012	0,0518	2	45	-	-	-	-	
გ-7	10	0,5	6,36	1,25	22	2909	0,01	0,1313	0,5672	20	62	-	-	-	-
გ-8	20	1,2	1,5	1,77	22	2909	0,017	0,03	1,296	18	80	-	-	-	-
გ-9	5,0	არაორგანიზებული			2909	-	0,1262	0,872	-10	80	-	-	-	-	

დამაბინძურებელ ნივთიერებთა მაქსიმალური კონცენტრაციები ზდკ-ს წილებში მოცემულია 5.3. ცხრილში.

ცხრილი 5.3.

№	გაფრქვეულ ნივთიერებათა დასახელება	კოდი	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ს მაქსიმალური წილი უახლოეს მოსახლესთან (240 მ)
1	არაორგანული მტვერი	2909	0,72
2	აზოტის ორჟანგი	0301	0,24
3	ნახშირჟანგი	0337	0,02

გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, რომ საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მავნე ნივთიერებათა ზდკ-ს მაქსიმალური წილი 240 მ-ით დაშორებულ საცხოვრებელთან არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

5.2. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით არ მოხდება ტექნოლოგიური დანადგარების შეცვლა ან დამატება. არ იცვლება სამუშაო რეჟიმი. შესაბამისად ხმაურის მომატება მოსალოდნელი არ არის.

მიუხედავად აღნიშნულისა, რადგან ქარხნის საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციით უახლოესი მოსახლე დაშორებული იყო 800 მ-ით, ხოლო ამჟამად უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 240 მეტრში, განხორციელდა საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშება.

ხმაურის ნორმირება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ შესაბამისად.

აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები (ბგერის დონეები) განსაზღვრულია №1 დანართით. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განაშენიანების ტერიტორიებისთვის, „რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს“, დასაშვები ნორმები შეადგენს: დღე - 50 დბა, საღამო-45 დბა, ღამე - 40 დბა. ხმაურის დონის გაზომვის შედეგების ჰიგიენური შეფასება (სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზა) ტარდება ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომელიც ემყარება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს (მაგ., ISO 1996-1: 2003.“ აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება, გაზომვა და შეფასება“, ნაწილი 1. „შეფასების ძირითადი სიდიდეები და

პროცედურები“; ISO 1996-2: 2007“ აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება და გაზომვა , ნაწილი 2 “.

საწარმოს მუშაობისას მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები: საშრობი დოლი, აირგამწოვი ვენტილატორი და ასფალტშემრევი. ვინაიდან ხმაურის ამ წყაროებს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილის, წყაროები გაერთიანებულია ერთ ჯგუფად. ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესაფასებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრული ცენტრიდან დაშორება. საანგარიშო წერტილად განისაზღვრა საწარმოდან დასავლეთით 240 მ-ით დაშორებით არსებული საცხოვრებელი ზონა. ლიტერატურული მონაცემებით, ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონე აღწევს 85დბა-ს.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად საანგარიშო წერტილში ხმაურის დონის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r/1000 - 10lg\Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 90 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ – სამ წიბოიან კუთხეში;

β – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ ზონასთან ხმაურის დონე იქნება:

$$L=90-15lg240+10 lg2-10,5x240/1000-10 lg12,56 =43.79 \text{ დბა}$$

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საცხოვრებელ ზონასა და საწარმოს შორის განთავსებულია კაპიტალური შენობები და მწვანე ნარგავები რაც ხელს უწყობს ხმაურის დონის შემცირებას 5-10 დეციბელით. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო ფუნქციონირებს მხოლოდ დღის განმავლობაში საწარმოს გავლენით საცხოვრებელ ზონაში მოსალოდნელი ხმაური არ იქნება 50 დბა-ზე მეტი.

5.3. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

როგორც N37 ეკოლოგიურ ექსპერტიზის დასკვნაშია განხილული, საწარმოს წყალი ესაჭიროება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის.

წყალსარგებლობისათვის ტერიტორიაზე მოწყობილია ორი მოწისქვესა ჰორიზონტის ჭა, რომლებზედაც აღებული წიაღისეულობის ლიცენზიები. ჭებზე მოწყობილია წყალაღივების კვანძები და დალუქულია სალიცენზიო პირობების შესაბამისად.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა წყლის რესურსებზე, ან წყლის გამოყენებაზე არ იმოქმედებს.

შესაბამისად ამ მიმართულებით ზემოქმედების გაზრდა ან შემცირება მოსალოდნელი არ არის.

5.4. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

კირქვისა და ბენტონიტური თიხის ფხვნილის საწარმო აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია გასული საუკუნიდან (1937 წლიდან). არსებული საწარმო გასულ საუკუნეში მოწყობილ შენობა-ნაგებობებში ფუნქციონირებს მრავალი წელია (2000-იანი წლებიდან). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, რომელიც გამოიხატება პროდუქციის სახეობრივ კორექტირებაში, ლანდშაფტზე დამატებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ასევე გამორიცხულია ბიომრავალფეროვნებაზე დამატებითი ზემოქმედება. საწარმოს ირგვლივ გავრცელებული ფრინველთა და ცხოველთა სახეობები შეგუებული არიან ანთროპოგენურ გარემოში ბინადრობას. მათი საარსებო გარემოს შეცვლა მოსალოდნელი არ არის.

5.5. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება;

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საწარმო მოწყობილია და ფუნქციონირებს 2010 წლიდან. ყველა ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს შენობა-ნაგებობებში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენარჩუნებული არ არის. პროდუქციის სახეობრივი კორექტირება არ არის დაკავშირებული არსებული შენობების გარეთ საქმიანობასთან. შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე გავლენას ვერ იქონიებს.

რაც შეეხება არაპირდაპირ ზემოქმედებას, შესაძლებელია ნიადაგის დაბინძურება გამოწვეული იყოს ნარჩენების არასათანადო მართვით, საწარმოს ტერიტორიის გარეთ ნავთობპროდუქტების დაღვრით და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევით.

5.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ძირითადი ტექნოლოგიური პროცესის დროს ნარჩენების წარმოქმნა არ ხდება. ნედლეული მთლიანად გარდაიქმნება პროდუქციად.

ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მანქანა-მოწყობილობების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთების დროს და თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო სათავსოში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ხდება წყალტუბოს ააიპ სპეციალურ სერვისების მიერ დადგმულ კონტეინერში. გაიტანება პერიოდულად ხელშეკრულების საფუძველზე.

ნარჩენი შესაძლებელია იყოს ლითონის ჯართი, ტრანსპორტიორის დაზიანებული ლენტი, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები და სხვა.

ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა და მათი განთავსების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 5.4-ში.

კომპანია ნარჩენების მართვას ახორციელებს ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ცხრილი 5.4.

N	ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/ ალდგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა წელიწარში	შემდგომი მართვა
1	15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით	დიახ	H15	D 9/D10	10 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015
2	13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	დიახ	H3-H5	R13	20 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ჰერმეტიკულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274, ზეთები ტრასპორტირებული იქნება შპს „ალტერვეისტი“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტზე.
6	16 01 17	შავი ლითონი	არა	-	R4	500 კგ	ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებს
7	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	D1	1 ტ.	გაიტანება წყალტუბოს ა(ა)იპ სპეციალური სერვისების მიერ და განთავსდება ქუთაისის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე

5.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლით არ გაიზრდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზემოქმედება, რადგან არ იზრდება გამოყენებული ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის რაოდენობები. პროდუქციის სახეობრივი კორექტირების შედეგად არ შეიცვლება გადაზიდვების ტიპი.

ნედლეულის შემოზიდვა ხორციელდება დღეში 3 რეისი ინტენსივობით, (წელიწადში 450 გადაზიდვა). იგივე რაოდენობის გადაზიდვა სჭირდება პროდუქციის გატანას.

იმის გათვალისწინებით, რომ თიხის ნედლეული გამოშრობის შემდეგ წონაში იკლებს და იგივე რაოდენობის კირქვის ფხვნილის მისაღებად საჭიროა ნაკლები კირქვის ნედლეული, ვიდრე თიხა, ახალი პირობებით ფუნქციონირების დროს საწარმოსათვის საჭირო იქნება ჯამურად 11 160 ტონა ნედლეული (ნაცვლად 12 800). გადაზიდვების წლიური რაოდენობა 55-ით შემცირდება და იქნება 395 გადაზიდვა წელიწადში.

ნედლეულის შემოზიდვა განხორციელდება ავტოთვიტმცლელებით, ტვირთების გადაზიდვის მოქმედი წესების შესაბამისად.


რაც შეეხება ტერიტორიიდან პროდუქციის გატანას, ამჟამად ხორციელდება და კვლავაც განხორციელდება ავტოციისტერნებით. გადაზიდვების რაოდენობა არ შეიცვლება.

ამდენად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზემოქმედება მცირდება უმნიშვნელოდ.

5.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო საწარმოს განთავსების ადგილის უახლოეს დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიები (ხომულის მღიმი), რომელიც პირდაპირი მანძილით დაშორებულია 1 600 მ-ით. (ნახაზი 5.2).

დაშორების მანძილისა და საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით მასზე რაიმე ზემოქმედება გამორიცხებულია.



ნახაზი 5.2.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, საპროექტო ტერიტორიიდან 1 კმ-იან რადიუსში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ არის განთავსებული.

5.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს ფუნქციონირებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (დაახლოებით 15-მდე ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად მოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. საწარმოში დასაქმებულები არიან ადგილობრივი მცხოვრებლები.

შპს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

5.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში დაცულია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების წესები და გარემოს დაცვის მოთხოვნები, რაც მინიმუმამდე ამცირებს ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით ზემოქმედების რისკებს.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, რაც გულისხმობს პროდუქციის სახეობრივ კორექტირებას, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების გაზრდას არ გამოიწვევს.

5.11. ავარიული რისკები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ავარიების წარმოქმნის რისკები, რასაც შესაძლებელია მოყვეს ადამიანების დაშავება და მატერიალური ზარალი.

ობიექტის ექსპლუატაცია დაკავშირებულია მძიმე ტექნიკის გამოყენებასა და სატრანსპორტო გადაზიდვებთან, ამიტომ არსებობს რისკი ავტომანქანების შეჯახების ერთმანეთთან, ან საწარმოს სტაციონარულ ობიექტებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დაშავება.

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ავარიების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებული იქნება უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევასთან.

საწარმო შედის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულ „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში“, შესაბამისად ვალდებულია ექსპლუატაციის პროცესში გაითვალისწინოს შრომის უსაფრთხოების პირობები, დანიშნოს თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, შეადგინოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. თანამშრომლებს სისტემატიურად ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი. სახიფათო უბნებზე გამოკრული იქნება გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა ავარიული რისკების მომატებას არ გამოიწვევს.

5.12. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გულისხმობს მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირებას, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისიების შემთხვევაში.

როგორც მე-2 თავშია განხილული, არსებული საწარმოს გვერდით განთავსებულია შპს „ჯორჯიან სინთეტიკ ოილ“-ის რეზინტექნიკური ნაკეთობების ნარჩენების აღდგენის (პიროლიზის შედეგად თხევადი საწვავის მიღების) საწარმო, რომელთანაც მოსალოდნელია კუმულაციური ეფექტი ატმოსფერულ ჰაერში წვის პროდუქტების გამოყოფის შედეგად.

რადგან ექსპლუატაციის პირობების შეცვლით მნიშვნელოვნად მცირდება გამოყენებული საწვავის (ბუნებრივი აირის) ხარჯი, კუმულაციური ზემოქმედების რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება.

სხვა მიმართულებით კუმულაციური ზემოქმედების რისკი მოსალოდნელი არ არის.

5.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საწარმოს ტიპის, წარმადობის, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეობისა და მასშტაბის, ასევე მისი განთავსების ტერიტორიის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6. საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი

თიხისა და კირქვის ფხვნილის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შედეგად, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი შეფასებით მიღებული დასკვნები მოცემულია ცხრილში 6.1.

ცხრილი 6.1.

№	გარემოს კომპონენტები	ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი
1	ბუნებრივი გარემო	
1.1.	ატმოსფერული ჰაერი	მცირდება საშუალოდ
1.2.	ხმაური	არაა მოსალოდნელი
1.3.	ნიადაგი	არაა მოსალოდნელი
1.4.	ბუნებრივი ლანდშაფტები ფლორა და ფაუნა	არაა მოსალოდნელი
1.5.	წყლის რესურსები	არაა მოსალოდნელი
1.6.	დაცული ტერიტორიები	არაა მოსალოდნელი
1.7.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	არაა მოსალოდნელი
1.8.	ნარჩენების წარმოქმნა	არაა მოსალოდნელი
1.9.	სატრანსპორტო ნაკადები	მცირდება უმნიშვნელოდ
1.10.	კუმულაციური ზემოქმედება	მცირდება საშუალოდ
1.11.	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
2	სოციალურ-ეკონომიკური გარემო	
2.1.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	არაა მოსალოდნელი
2.2.	ადამიანების დასაქმება	არაა მოსალოდნელი
2.3.	ეკონომიკური მდგომარეობა	დაბალი დადებითი

დაწართები

დანართი 1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 29.09.38.269**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022487319 - 04/07/2022 14:45:41

მომზადების თარიღი
05/07/2022 17:34:32

საკუთრების განყოფილება

ზონა წყალტუბო	სექტორი გუმბრა	კვარტალი 38	ნაკვეთი 269	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 1845.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/1
მისამართი: რაიონი წყალტუბო, სოფელი გუმბრა				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017826925 , თარიღი 07/09/2017 17:39:15
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/10/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- 1993 წლის 05 ივნისის "საქგუმბრინის" მალაროთა სამმართველოს პრივატიზაციის გეგმა N02.10.34 , დამოწმების თარიღი: 14/07/1994 , საქართველოს რესპუბლიკის სასელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო
- დადგენილება N02.10.32 , დამოწმების თარიღი: 14/07/1994 , საქართველოს რესპუბლიკის სასელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო
- დადგენილება N59/5-7 , დამოწმების თარიღი: 08/05/1996 , ქალაქ წყალტუბოს სასამართლო
- მომართვა (უძრავი ნივთის აღვიღებ დათვალიერების ოქმი N00127; დამოწმების თარიღი 16.10.2017) N31/5098 , დამოწმების თარიღი: 18/10/2017 , წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მესაკუთრეები:

სააქციო საზოგადოება "საქგუმბრინი", ID ნომერი: 221267395

მესაკუთრე:

აღწერა:

სააქციო საზოგადოება "საქგუმბრინი"

იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვალაში წარუდგენს ლეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამღვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ლაგვიკავშირით: 2 405405 ან პირადად შეაგვსეთ განაცხადი ვებ გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში ლაგვიკავშირით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან ლაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022487461 - 04/07/2022 15:04:48

მომზადების თარიღი
05/07/2022 11:54:35

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
წყალგუბო	გუმბრა			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
29	09	38	300	დაზუსტებული ფართობი: 159.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი წყალგუბო, სოფელი გუმბრა				ნაკვეთის წინა ნომერი:
				შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი N01/1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017826898 , თარიღი 07/09/2017 17:34:51
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/10/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- 1993 წლის 05 ივნისის "საქგუმბრინის" მალაროთა სამმართველოს პრივატიზაციის გეგმა N02.10.34 , დამოწმების თარიღი: 14/07/1994 , საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო
- დადგენილება N02.10.32 , დამოწმების თარიღი: 14/07/1994 , საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო
- დადგენილება N59/5-7 , დამოწმების თარიღი: 08/05/1996 , ქალაქ წყალგუბოს სასამართლო
- მომართვა (უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმი N00127; დამოწმების თარიღი 16.10.2017) N31/5098 , დამოწმების თარიღი: 18/10/2017 , წყალგუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მესაკუთრეები:

სააქციო საზოგადოება "საქგუმბრინი", ID ნომერი: 221267395

მესაკუთრე:

სააქციო საზოგადოება "საქგუმბრინი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვალაში წარუდგენს ლეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამღვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ლაგვიკავშირით: 2 405405 ან პირადად შეაგვსეთ განაცხადი ვებ გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში ლაგვიკავშირით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან ლაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022487378 - 04/07/2022 14:54:43

მომზადების თარიღი
06/07/2022 10:19:59

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
წყალტუბო	გუმბრა			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
29	09	38	302	დაზუსტებული ფართობი: 396.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი წყალტუბო , სოფელი გუმბრა				ნაკვეთის წინა ნომერი:
				შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017826915 , თარიღი 07/09/2017 17:38:07
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/10/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- 1993 წლის 05 ივნისის "საქგუმბრინის" მალაროთა სამმართველოს პრივატიზაციის გეგმა N02.10.34 , დამოწმების თარიღი: 14/07/1994 , საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო
- დადგენილება N02.10.32 , დამოწმების თარიღი: 14/07/1994 , საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო
- დადგენილება N59/5-7 , დამოწმების თარიღი: 08/05/1996 , ქალაქ წყალტუბოს სასამართლო
- მომართვა (უძრავი ნივთის აღვიღებ დათვალიერების ოქმი N00127; დამოწმების თარიღი 16.10.2017) N31/5098 , დამოწმების თარიღი: 18/10/2017 , წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:

სააქციო საზოგადოება "საქგუმბრინი", ID ნომერი: 221267395

მესაკუთრე:

სააქციო საზოგადოება "საქგუმბრინი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს ლეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამღვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ლაგვიკავშირით: 2 405405 ან პირადად შეაესეთ განაცხადი ვებ გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში ლაგვიკავშირით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან ლაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022487309 - 04/07/2022 14:44:00

მომზადების თარიღი
06/07/2022 12:31:48

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
წყალტუბო	გუმბრა	38	305	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 607.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/1
მისამართი: რაიონი წყალტუბო, სოფელი გუმბრა				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017826963 , თარიღი 07/09/2017 17:44:59
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/10/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- 1993 წლის 05 ივნისის "საქგუმბრინის" მალაროთა სამმართველოს პრივატიზაციის გეგმა N02.10.34 , დამოწმების თარიღი: 14/07/1994 , საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო
- დადგენილება N02.10.32 , დამოწმების თარიღი: 14/07/1994 , საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო
- დადგენილება N59/5-7 , დამოწმების თარიღი: 08/05/1996 , ქალაქ წყალტუბოს სასამართლო
- მომართვა (უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმი N00127; დამოწმების თარიღი 16.10.2017) N31/5098 , დამოწმების თარიღი: 18/10/2017 , წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მესაკუთრეები:

სააქციო საზოგადოება "საქგუმბრინი", ID ნომერი: 221267395

მესაკუთრე:

სააქციო საზოგადოება "საქგუმბრინი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვალაში წარუდგენს ლეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნაშლილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ლაგვიკავშირით: 2 405405 ან პირადად შეაგვსეთ განაცხადი ვებ გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში ლაგვიკავშირით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან ლაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022487340 - 04/07/2022 14:48:32

მომზადების თარიღი
06/07/2022 09:11:17

საკუთრების განყოფილება

